

კარლო ინასარიძე

Karlo Inasaridze

რადიოტექნოლოგია

RADIOKUNDE

SCIENCE DE LA RADIO

РАДИОВВЕДЕНИЕ

In georgischer Sprache

На грузинском языке

მიუნხენი 1971 წელი

M ü n c h e n

**ვეუძღვნი ჩემი უდროოდ გარდაცვლილი მეუღლის
ნ ი ნ ა ს — ლუაზგების
მარადიულ ხსენას**

**Dem ewigen Gedenken meiner zu früh verstorbenen Frau
Nina - Loissette
gewidmet**

შ ი ნ ა ა რ ხ ი

წინახიწყვა..... 1
შეხავალი..... 3

ა მ ო ხ ა ვ ა ლ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი

1.რადიომეცყველების ცნება..... 9
2.ხტილისმეცყველების ცნება.....12
3.რადიომეცყველების მეოლი.....17

პ ი რ ვ ე ლ ი თ ა ვ ი

რ ა დ ი ო გ ა მ ო ხ ა ხ ვ ი ს ხ ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა
ფ ო ნ ე წ ი კ ა

რადიოგამოხახვის მახალა.....22
I. ხმის რადიოური გადაღების ფორმები.....26
1. ხმის რადიოური გადაღება.....27
 ა) მონოფონია.....29
 ბ) ხტერეოფონია.....31
2. ხმის რადიოური ბნელება.....35
 ა) ხმის რადიოური აბნელება.....36
 ბ) ხმის რადიოური შებნელება.....36
 გ) ხმის რადიოური გაბნელება.....37
 ღ) ხმის რადიოური გამობნელება.....38
 ე) ხმის რადიოური დაბნელება.....40
 ვ) ხმის რადიოური გადაბნელება.....40
3. რადიოური დრო და ხივრცე.....41
4. "მოძრავი" მიკროფონი.....57
5. ხმის რადიოური მულტიპლიკაცია და წერიუკი.....60
6. ხმის რადიოური მონწყაყი და ჭრა.....68

II. ხმა-ხივრცე-რადიოტექნიკის ურთიერთგავლენა	79
1. ხმის წყარო.....	81
2. ხივრცე.....	82
3. რადიოტექნიკა.....	85
<u>III. რადიოური გამოსახვის სამი ელემენტი</u>	
1. მეწყველეპიოი ენა.....	97
ა) გამოცხადება.....	101
ბ) თხრობა.....	104
გ) "უხულო ხაგნის" ამეწყველეება და ცოცხადა.....	108
დ) ღიაღიგი.....	112
ე) მონიღიგი.....	125
ვ) ქორო.....	133
2. რადიოური მუხიკვა.....	143
ა) რადიოური მუხიკვა როგორც მუხიკვალური გამოსახვა.....	145
ბ) რადიოური მუხიკვა როგორც რადიოური გამოსახვა.....	152
3. რადიოური ხმაური.....	166
<u>მ ე ო რ ე თ ა ვ ი</u>	
რ ა ღ ი ო უ რ ი გ ა მ ო ხ ა ხ ვ ი ს მ ხ ა ჭ ვ რ უ - <u>ღ ი უ ო რ მ ე ბ ი</u>	
შეხავალი.....	188
<u>I. რ ა ღ ი ო შ ი ე ს ა.....</u>	189
1. რადიოპიეხის ხიუყეჭი.....	191
ა) რადიოპიეხის "აკუხეჭიკური ცენჭრეპი".....	194
ბ) ექსპოიიციია თუ ღაწყება.....	204
გ) მოქმეღეპის ხაიი.....	211

2.რადიოკომენცარი.....	465
3.რადიოხაუზარი (რადიონარკვევი).....	480
4.რადიოკორეხპონდენცია.....	485
5.რადიოანგარიში.....	490
6.რადიორეცენზია.....	496
7.რადიომიმოხილვა.....	501
8.რადიოყურნალი.....	508
II. დაუწერელი ფორმები.....	513
1.რადიოინფერვიუ.....	515
2.რადიოლიხკუხია.....	526
3.რადიორეპორჯაყი.....	531
4.პირდაპირი გადაცემა.....	539

მ ე ხ უ თ ე თ ა ვ ი

<u>რ ა დ ი ო უ რ ი გ ა მ ო ხ ა ხ ვ ი ს პ რ ო დ უ ქ ე ნ ა</u>	
შეხავალი.....	552
1.რადიოავტორი.....	553
ა)რადიომწერალი.....	555
ბ)რადიოყურნალიხცი.....	564
2.რადიოღრამაფურგი.....	569
3.რადიორედაქტორი.....	575
4.რადიოლიქტორი.....	580
ა)რადიომხახიოზი.....	581
ბ)რადიოლიქტორი.....	592
5.რადიორეყიხორი.....	606
ა)რადიოპიეხიხ დაღემა.....	608
ბ)რადიოპუბლიეხიხციური ფორმეხიხ დაღემა.....	633
6.რადიოკომპოზიციორი.....	642

7.რადიოხმაურის შემქმნელი.....	657
8.ხმის ოპერატორი.....	665

მ ე ე ქ ვ ხ ე თ ა ვ ი

რ ა დ ი ო ო მ მ ე ნ ე ლ ი

შეხავალი.....	683
---------------	-----

I.რადიოპროგრამა

1.რადიოორგანიზაცია.....	684
2.რადიოპროგრამის მიზანი.....	691
3.რადიოპროგრამის გეგმა.....	695
4.რადიოპროგრამის ფორმა.....	707

II.რადიომხმენელი.....712

1.რადიომხმენელის ეროვნული რაობა.....	724
2.რადიომხმენელის სოციალური რაობა.....	727
3.რადიომხმენელის ფსიქოლოგიური რაობა.....	733

III.რადიოკრიტიკა.....749

IV.რადიოკადრები.....761

დახასრული.....773

ლიტერატურა.....789

ავტორის ვინაობა.....801

ღ ა მ ა ც ე ბ ა :

რადიოპიესა: "მუხიკის ყუთი".....	804
რადიოპიესა: "ხუთი კაცი აღამიანები".....	814
რადიოპიესა: "ხაშიშროება".....	828

- - - - -

წ ი ნ ა ხ ი ტ ყ ვ ა

ეს ნაშრომი პირველია ოთხი წიგნიდან - პირველი წიგნი: "თეატრისმეცნიერება", მეორე წიგნი: "ფილმისმეცნიერება", მესამე წიგნი: "ტელემეცნიერება" და მეოთხე წიგნი: "რადიომეცნიერება", რომლებზედაც უკვე ღიღიხანია ვმუშაობ.

ეს "რადიომეცნიერება" შეიქმნა ჩემი ნარკვევის - "რადიო-პიესის დრამატურგიის" ("Die Dramaturgie des Hörspiels") ბაზაზე, რომელიც 1957 წელს დავწერე "ფილმისა და ტელეხელოვნების გერმანულ ინსტიტუტისათვის მიუნხენში" ("Das Deutsche Institut für Film und Fernsehen"). პირველად დავიწყე "რადიოპიესის დრამატურგიის" მხოლოდ ქართულად თარგმნა, მაგრამ თარგმნის პროცესში ამ დარგში ბევრი ახალი ნაშრომი გამოქვეყნდა, რომელთა მხედველობაში მიღება აუცილებელი გახდა. ამას დაემატა ისიც, რომ საჭიროთ ჩავთვალე რადიოს პუბლიცისტური ფორმების შეხსენებაც, რის შედეგად ეს ნაშრომი გაშორდა რადიოპიესის დრამატურგიის ხელოსნებს და რადიოგამოსახვის ხაეროთ კანონზომიერების შექაპებდა - რადიოდრამატურგიად - იქცა. ამან გამოიწვია სათაურის შეცვლაც, რომლის დროს "რადიომეცნიერების", ან "რადიოდრამატურგიის" ხათაურს "რადიომეცნიერების" ხათაური ვამჯობინე, მიუხედავათ იმიხა, რომ ხამივე ხიყყვა ხინონიმებად უნდა ჩათვალხ.

ამ ნაშრომის მიზანია რადიომეცნიერების ხაეროთ ხაფუძველების, ეხე-იგი რადიოური გამოსახვის კანონზომიერების ჩამოყალიბება. ჩემი კვლევის მეთოდი გამომდინარეობს თეატრისმეცნიერების კუჩირხხეულ მეთოდიდან, რომელიც, ნაწილობრივ, მანვე ფავარცელა რადიომეცნიერებაზე. მომეცა რა ხაშუალეზა ვყოფილიყავი ზწ განხვეწებულ პროფესორის - არტურ კუჩირის - მოწაფე ("Kutscher-Schüler"), გავიზიარე მის მიერ ჩამოყალიბებული თეატრისმეცნიერ-

რების მეთოდი და, შეხამებლობის ფარგლებში, გავავრცელებ რადიომეცნიერებაზე. ამ მეთოდის მიხედვით, რადიომეცნიერების ცენტრში უნდა იღვებ რადიოგამოსახვის მახალა - ხმა, ებე-იგი რადიოური ენა, რადიოური მუხივა და რადიოური ხმაური.

ამ ნაშრომზე მუშაობის დროს, ხამწუხაროდ, არ გამანდა არც ერთი წიგნი რადიომეცნიერების შესახებ ქართულ ენაზე. ამიტომ იძულებული გავხდი შემექმნა ხატირა ჭრმინოლოგია. ვიმელოვნებ, მკითხველი შესძლებს ამ ჭრმინების გავებას; მათი ხამოლო დადგენა ვი მხოლოდ ხამშობლობია შესამძებელი. შემწნეული კორექტორული და ხვილისჭური შეცლომების გახწორებას ვერ შევძელი ჭექნიკური მიშეშების გამო.

ამ ნაშრომის დახჭამშვა შეუძლებელი გახდა; არარაობას ხაწერი მანქანით დაშეჭდა ვამჯობინე.

კიდეც ერთი თვითკრიჭივა: ამ ნაშრომის ნაკლად უნდა ჩითვალოს იხ, რომ (შეიძლება) მიხი შოგიერთი ნაწილი გადაჭარბებულად ვრცლად, შოგიერთი ვი მეჭად შეკუმშულადაა გაშუქებული. მაგრამ ამ ნაკლის გამონწორება შეუძლებელი გახდა, ვინაიდან გვერდში არ მეღვა ქართული ენის მცოდნე ამ დარგის ხვეცილისჭვი, რომელიც ამ ნაშრომს დაბეჭდვამდე კრიჭიკულად განიხილავდა.

კარლო ინასარიძე

მიუნხენი, 1971 წლის 28 მაისი

ჭირაყი ხი(100) ცხელი.

ავტორის უფლება დაცულია:
Dr. Karlo Inasaridse
8 München 90
Schönstrasse 72 a
Bundesrepublik Deutschland

შეხვეალი

"აღამიანს იმის დანახვა, რაც ამ მსოფლიოში ხდება, შეუძლია უთვალეობლად. დაინახე შენი ყურებით". ("A man may see how this world goes with no eyes. Look with thine ears")¹⁾

ამ ხიფყვებით მიმართავს დაბრმავებული მეფე ღირი გლობ-ჭერი. მართალია, არაბრმა აღამიანი, ამ შემთხვევაში გლობ-ჭერი, არ არის "იძულებული" მხოლოდ მოიხმინოს მეფე ღირის ხიფყვები და არ შეხედოს მას; ხოლო დაბრმავებული მეფე ღირი - "ბრმა აღამიანი არ ღვას ამგვარი პრობლემის წინაშე: მან უნდა მოუხმინოს და უნდა გაიგოს, რაც ეხმის, თორემ ხიფყვა იქნება სიბნელე."²⁾ მაგრამ შექსპირის ეს აზრი არანაკლებად ინარჩუნებს თავის ვარგისიანობას არაბრმათათვისაც: მართლაც, არაბრმახაც შეუძლია მსოფლიოს "დანახვა" მხოლოდ "ხმენით", მხოლოდ აკუსტიკურად და მსოფლიოს ახეთი ხერხით "დანახვის", შეცნობის ახალი ფენომენია რადიო.

რადიო მე-20 საუკუნის პირმეო შეიღია, მიუხედავად იმისა, რომ - როგორც შმიტენერი ამბობს - "თითქმის ყველა უძველეს კულტურაში "მოსახმენი თამაში" ("Hörspiel") "შეხახედავ თამაშთან" ("Schauspiel") ერთდროულად და თანაბარფახონად აღმოცენდა."³⁾ ხიფყვა "მოსახმენი თამაში" ("Hörspiel"), რა თქმა უნდა, სხვა ურთიერთობაში, ნახმარი აქვს ფრიდრიხ ნიჩეის "ზარაფუხსტრაში" ("მისხაღმევა"): "......ეხ იყო ხანგრძლივი, მრავალფეროვანი ყვირილი და ზარაფუხსტრამ ნათლად გაანხხვავა იხ, რომ ეხ ყვირილი მრავალი ხმისაგან შეხღეგობლად: იხმოლა რა იხ შორიდან, ყვირილი უღეროლა ერთადერთ

1) Shakespeare William: King Lear, Akt 4, Scene 6

2) Donald Mc Whinnie: The art of Radio, London 1959, P.22-23

3) Schmitthener H.: Hörspiele vor 10.000 Jahren? in: Rundfunk und Fernsehen, 1958, Hamburg, Heft 2, S.166

პირიდან. მაშინ გამოვარდა შარაფუხტრა გამოქვაბულიდან და რა ხანახაობა! რა "შეხახედავი თამაში" (Schauspiel) ელოდა მას "მონახმენი თამაშის" (Hörspiel) შემდეგ.¹⁾ აქ, რა თქმა უნდა, "მონახმენი თამაში" არ არის ნახმარი რადიოპიესის გაგებით. მაგრამ, ლიტურ ჰახენბლაფის აზრით, ეს მაინც მნიშვნელოვანია ხამმხრივ: პირველი - აქ "მონახმენი თამაში" ანალოგიურია "შეხახედავი თამაშისა" (ხიყყვა "Schauspiel" არხებობს 1540 წლიდან გერმანულ ენაში). მეორე - ნიჩუხ "მონახმენი თამაში" ესმის როგორც ხ მ ა თ ა მრავალფეროვანება; და შეხამე - ეს ხმეზი იხმის, ყლერხ შორიდან.²⁾

შვეიცარიელი მკვლევარი - ოხკარ ებერლე - პრიმიტიული ფომეზის თეაფრის შეხახედავის ხააწყლა "მონახმენი თამაშის" (Hörspiel) იხეთ ფორმეზს, რომელეზიც მანამლე გნოზილხ ჩრდილში აყენეზს. მისი გამოკველევის შედეგეზი ამფკიცეზს ვარაუდს, რომ თითქმის ყველა უუშველეზს კულტურაში (Urkulturen) "მონახმენი თამაში" ერთდროულად და თანახწორფახოვნად წარმოიშვა "შეხახედავ თამაშთან" (Schauspiel) ერთად. პირველ ყოვლისა იქ, ხადაც ღმერთეზს უჩინრად თვლილენ ან ხადაც ღმერთეზის ღანახვა, წარმოღვენა რელიგიით აკრძალული იყო, კულფის გამოხახეველი თამაში იმუღეზით ხლეზოლა "მონახმენი თამაში", რომელეზიც ღმერთი მხოლოდ ხმით იყო განხორციელებული. ამ მხრივ ყველაზე უფრო ხანისფერეზოა გნოზა გეცხლის მიწის ინდიელების თეაფრალური გხოვრეზის შეხახეზ: მათი აჩრდილთა, ღემონეზისა და ღმერთთა "თამაში" მხოლოდ "მონახმენი თამაშია". მომთხროზი (Sprecher) ჯერ განმარფავხ მღგომარეობახს და შემდეგ, მომდევენი ღიალოგეზის, მონოლოგეზის, პრძოლის ხეენეზის და ა.შ. შუა, იხევეღახევე ჩაერევა მოქმელების მხველეობაში ღჭ; განმარფავხ და წინ წარმართავხ მოქმელებახს. ამგვარი "თამაში" ფარღეზა ღამით, მხმენელებიხახან ხელხაყრელი ღაშორეზით.

1) Nietzsche F.: Also, sprach Zarathustra ("Die Begrüssung")

2) Hasselblatt Dieter: Hörspil bei Nietzsche und Lessing; in: Rundfunk und Fernsehen, Hamburg 1958, Heft 4, S. 391-392

მოუღანზე თავმოყრილი მსმენელები გადაიფარებენ თავზე ბეწვებს და ხაზნებს იხე,რომ მათ არაფრის დანახვა, მაგრამ ყველაფრის მოხმენა შეეძლო. ანალოგიური "მოსახმენი თამაში" ოხვარ ებრძვებ ადამიანებსა ჩვიდმეც პრიმიტიულ ცომ ში.¹⁾

ოხვარ ვეხელი ამბობს, რომ "მოსახმენი თამაში" არ არის რადიოს გამოგონება. კურნაის(Kurnai) ცომი, ერთერთი უძველესი ცომი ავსტრალიაში, იგნობს ხაკრალური "მოსახმენი თამაშის" ერთ ფორმას: " ბიჭები - წერს ვეხელი - უნდა დამალულიყვენ ორმოებში, თავზე გადაეფარებიან ხის ცოცვები, რომ არაფერი დაენახათ; და იხმენდენ "ერთი მომავალი ღვთაების ნაჭიჯის ხმას".²⁾

უღაოა, რადიოს "მოსახმენი თამაში", ე.ი. რადიო-ჰიესა, პრინციპში, მსგავსია უძველეს "მოსახმენი თამაშისა"; მაგრამ რადიოჰიესა არ არხეზობს რადიოცექნიკის გარეშე. პირველად რადიოცექნიკამ შექმნა წინაპირობა ახალი რადიოური მხაფერული და პუბლიცისტური გამოსახვისა. 1887 წელს ჰაინრიხ ჰერცმა აღმოაჩინა ელექტრონული ცალღები. 1895 წელს მარკონიმ მოახდინა მორზეხ ნიშნების უმავთულ გადაცემა ელექტრონის ცალღებით. ოთხი წლის შემდეგ მანვე შეხძლო რადიოპუვირის დამყარება ინგლისისა და ხაფრანგეთის ხანაპიროებს შორის; და 1901 წელს ოკეანეს გარდალახვაც კი. "ერთი ხიზმარი იქვა ხინამღვილედ: ევროპა და ამერიკა ერთრის ცალღებით დაუკავშირდა ერთმანეთს. რადიოცელეგრაფხ მოყვა რადიოცელეფონი და, პირველი მხოფლიო ომის შემდეგ, რადიო".³⁾

1913 წლის 23 თებერვალს შეერთებული შუაფეების გაბთი "The Sun" იყყოზინებოდა, რომ "განხორციელებულ იქნა მეფად შეხანიშნავი მუხიკალური რადიოგადაცემა, "რომელმაც

1) Schmitthener H.: Hörspiele vor 10.000 Jahren?; in: Rundfunk und Fernsehen, Hamburg 1958, Heft 2, S.165-166

2) Wessel Oskar: Vorspiel zum Hörspiel; in: Rundfunk und Fernsehen, Hamburg 1954, Heft 2, S.124

3) Ruth Arno: Radio, Zürich-New York, 1944, S.15

ღლი ინტერეხი გამოიწვიაო.¹⁾ 1919 წლის 16 ნოემბერს განხორციელდა ბუღ იქნა პირველი ექსპერიმენტალური რადიოგადამცემა ბერლინში; ხოლო "1923 წლის 29 ოქტომბერს, 20 საათზე, ბერლინში დაიწყო რეგულარული რადიოგადამცემა".²⁾ ერთი წლის შემდეგ კი უკვე არსებობდა ცხრა რადიოსადგური 376.621 აღრიცხული მხმენელით.³⁾ საქართველოში პირველი რადიოგადამცემა განხორციელდა 1924 წელს. რადიოცენტრის ერთობიანება ერთმა ჯგუფმა თბილისის ერთერთი ქარხნის მუშების ხათვის მოაწყო ოპერა "კარმენის" წრანსლაცია თბილისის ოპერის თეატრიდან. შემდეგ გადაცემები ხდებოდა სახეუმრო "თბილისის" ერთ ოთახიდან; ხოლო 1927 წლის იანვრიდან უკვე დაიწყო რეგულარული რადიოგადამცემები.⁴⁾ "ბეჭდვით ხელშეწყობას, იოჰან გუტენბერგის გამოგონების შემდეგ, ხამი ხატუენე დახჭირდა, ხანამ მთელს მსოფლიოში გავრცელდებოდა. რადიო კი რამდენიმე წლის განმავლობაში შეიჭრა უმოკრეს სოფლებშიაც კი; და დღეს წერა-კითხვის უფოდინარეზიგ ისე ხარგებლობს რადიომიმღებთ, როგორც ქალაქების ინტელეგენცია."⁵⁾

პირველი რადიოგადამცემები შეიცავდა მხოლოდ ახალ ამბებსა და მუხიკას გრამფონის ფირფიციდან. მალე გაიხმა მხაფერული ხიფყვა რადიოთი. 1923 წლის 3 ნოემბერს გადაიცა რადიოთი ჰაინრიხ ჰაინეს "შღვის შმანება" ("Seegeespenst"). რადიოპროგრამები ხულ უფრო და უფრო იცხებოდა ხელრწენების მონათეხავე დარგების მხაფერულ ნაწარმოებთ. 1924 წლის 22 მაისს ჰამბურგის რადიომ გადახცა გოეთეს "შეყვარებულთა ჭირვეულობა" ("Laune der Verliebten"). ეს რადიოგადამცემა ხაყურადღებო გახდა იმით, რომ მახმი, ხიფყვის გვერდით, რეყიხორმა გამოიყენა სხვა აკუსტიკური ხაშუაღებანიც და ამით გამორდა მხოლოდ ფექსციის გადაცემის ხაშღვარს. დრამისა და

1) "The Sun", 23.2.1913, USA.

2) Wagenführ K.: Vierzig Jahre deutsche Rundfunk; in: Rundfunk und Fernsehen, Hamburg 1963, Heft 4, S.357

3) Bredow Hans: Aus meinem Archiv, Heidelberg, 1950, S.15-73

4) გარდაცხადებ კ.: "მოდონთა წრიბუნა". გაბ. "კომუნისცი", 29.3.67 წ.

5) Rohmert E.Th.: Wesen und Möglichkeiten der Hörspiieldichtung, München 1947 (Diss.), S.6

ლიტერატურის თითქმის ყველა ნაწარმოები აწვდიდა რადიოს ხიუჟეჟებს.¹⁾ მაგრამ ზოგიერთებმა შეიღწეს "რადიომწერლობის" შექმნის აუცილებლობა. 1923 წელს "ჯენერალ-ელექტრიკ-რევიუში" ("General Electric Review") გამოქვეყნებულ სტატიაში, ვ. ვ. კოლაცი ახე განხაზღვრავდა "რადიოდრამას": "მსმენელი ისმენს არა მარტო ხმას, არამედ აგრეთვე ტელეფონის ქვრიალს, კარის დახურვის ხმაურს, ქარიშხალს, წვიმას, ხვამის გადაჩოჩებას, რევოლვერის გახროლას და სხვა."²⁾ ვ. გრუნიკე წერდა: "რადიო-პიესის შექმნის ხაკიოხი, ე. ი. ისეთი მხატვრული ნაწარმოების შექმნა, რომელიც იქნებოდა მხოლოდ მოხახმენი, ხდება ხუღ უფრო და უფრო აქტუალური".³⁾ 1924 წლის 15 იანვარს, ლონდონის რადიომ გადახდა სპეციალურად რადიოსათვის შექმნილი პირველი რადიოპიესა - "A Comedy of Danger", რომლის ავტორი იყო ინგლისელი დრამატურგი რიჩარდ შიუსი.⁶⁾ ამ რადიოპიესის მოქმედება ხდება მაღაროში, რომელშიც "მოულოდნელად ელექტრონის ხინათლე ქრება და ამგვარად, ხრულიად მარტვიად, მხოლოდ-ხმენადობა ხუფვებს."⁴⁾ 1924 წელში, ჟურნალში "Der deutsche Rundfunk" ს. ვ. შიუსტერმა იხმარა პირველად ხიფყვა "Hörspiel" = "მოხახმენი თამაში" = "მოხახმენი პიესა" = რადიოპიესა. მას შემდეგ გავიდა თითქმის ნახევარი საუკუნე და დღეს უკვე მხოფლომ ყველა კულტურულ ენაზე შექმნილია მრავალი რადიოპიესა, რომლებიც ცნობილია როგორც ხელოვნების ერთი ახალი დარგი - რადიოპიესა. თანდათანობით ფეხს იკვიდებს აგრეთვე რადიო-პიესების გაცვლა-გამოცვლა. მაგალითად, "1955 და 1956 წლებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რადიოსადგურებმა გადახცეს 85 უცხოელი ავტორის რადიოპიესა"⁵⁾ და მიუხედავათ

1) Eckert G.: Gestaltung eines literarischen Stoffes in Tonfilm und Hörspiel, Berlin 1936. 2) Eckert G.: ebenda, S. 13

3) Grunike W.: Der deutsche Rundfunk, 1923, Nr. 6

4) Grunike W.: Zur Frage der Hörspiele; in: Der deutsche Rundfunk, 1924,

5) Prager G.: Europäische Verständigung auf dem Hörspiel- gebiet; in: Rundfunk und Fernsehen, Hamburg 1957, Heft 1, S. 47

6) ეს რადიოპიესა ცნობილია არი ხახელწოდებით "Danger" და "A Comedy of Danger".

იმისა, რომ ჭეღუბედვამ, პირველ ხანებში, შეარყია ხაერთოდ, რადიოსა და, კერძოთ, რადიოპიესის პოპულარობა, ცხადი ხდება, რომ ხელოვნების არც ერთ სხვა დარგს არ შეუძლია რადიოს მხოლოდ-ხმენადობითი ხამყარობ შეცვლა. დღეს უკვე აღიარებულია, რომ "პირველი წ მ ი ნ დ ა მ ხ ა ჭ ვ - რ უ ლ ი ფ ო რ მ ა , რომელიც რადიომ შექმნა, არის რადიოპიესა". 1)

1) Fischer Kurt E.: Dramaturgie des Rundfunks, Heidelberg-Berlin-Magdeburg, 1942, S.66

ა მ ო ხ ა ვ ა ლ ი ლ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი

1. რადიომეცყველების ცნება

რადიომეცყველება ვიწყო გაგებით - არის მეცნიერება, რომელიც ხწავლობს რადიოური გამოსახვიხა და მისი ფორმების არხხა და კანონზომიერებახ. რადიოტექნიკა არის "მეცნიერების დარგი, რომელიც ხწავლობს მალალი სიხშირის ელექტრომაგნეტური რხევებხ და რადიოტალღებხ; ტექნიკის დარგი, რომელიც განახორციელებხ ამ ტალღათა გამოყენებახ კავშირგამბმულობიხათვის, რადიოლკვაფიხიხათვის, მართვიხათვის, ნავიგაციიხათვის, ტელეხელვიხათვის და ხხვა."¹⁾ რადიომეცყველებახ რადიოურ გამოსახვიხა, გადაცემახ, მიღებახ. ამგვარად რადიოტექნიკა, როგორც თვით ხიყყვა ამბობხ, ხწავლობს რადიოს ტექნიკურ მხარეხ, რადიომეცყველება კი რადიოური გამოსახვიხა და მისი ფორმების კანონზომიერებახ. რადიომეცყველება - ფართო გაგებით - ხწავლობს, რადიოური გამოსახვიხა და მისი ფორმების კანონზომიერების გვერდით, რადიოს, როგორც მახობრივი კომუნიკაციიხ მელიუმის - ფიქლოგიური, ხოციოლოგიური, პედაგოგიური, იურიდიულ, ტექნიკურ და ხხვ. მხარეებხ.

კურტ ოიგენ ფიშერი უარყოფხ რადიომეცყველების ავტონომიურობახ და ამბობხ: "ხიყყვა "რადიომეცნიერებამ" ბევრი გაუგებრობა გამოიწვიო და კარგია, რომ უფრო მორიღებული გამოქმა "რადიომეცყველება" თანდათან იკიღებხ ფეხხ. რადიო ამ გაგებით არის არა განცალკავებული მეცნიერება, არამედ რიგი მეცნიერებათა დიხციპლინებიხა, რომლებიც ხწავლობენ რადიოს ხხვადახხვა ახპექტით. მაგალითად, კულტურის მეცნიერება, იხტორიული მეცნიერება, ყურნალხიყვიკა, თეატრის მეცნიერება, ხოციოლოგია, მახობრივი და ინდივიდუალური ფი-

1) "ქართული განმარტებითი ლექსიკონი", ტომი VI, გვ.351

ქოლოგია, ელექტროზომის მეცნიერება, ხმის ფიქოლოგია და სხვა - და -სხვა. ფიქნიკური ხაგნები.¹⁾ უსაზრი მუიძლება, ნაწილობრივ, ჩაითვალს ხამართლიანად, თუ ჩვენ მხედველობაში გვაქნება რადიომეფყველება ფართო გაგებით: აქ, როგორც ავლიმნეთ, შეხამლებელია რადიოს ფიქოლოგიური, პელაგოგიური თუ იურიდიული მხარეების გარკვევა მეცნიერების შეხაფყვის დარგებიდან. მაგრამ რადიომეფყველების ხფრო - ვიწრო გაგებით - ავფონომიურია, როგორც მეცნიერების ყოველი სხვა დარგი და მოითხოვს თავის ხაკუთარ კვლევით მეთოდს; ხოლო თუ ვინმე შეეცდება რადიოს არსსა და კანონზომიერებას ჩაწვლეს ურნალისფიკის თუ თეაფრის მეცნიერების მხრიდან, ის ვერახოდებს ვერ გაარკვევს რადიოს რაობას, ვინაიდან რადიოს ამოხავალი წერფილი მხოლოდმენადლობაა, რომელიც არა მარფო არხებიტად ასხვავებს მას ხელოვნების სხვა დარგებიდან, არამედ მოითხოვს ამ მასხალაზე დაყრდნობილ კვლევით მეთოდს. ჩვენ გამოვდივართ იმ დებულებიდან, რომ ხელოვნების ერთი დარგის არსი სხვა და კანონზომიერების გამოკველევა წინაპირობაა მასზე თეორიულ დასკვნის გამოსაფანად. თუ ზუსტად არ არის განხაზღვრული რადიოპიების ხფრუქფურის კანონზომიერება და მისი ადგილი ხელოვნების სხვა დარგებს შორის, მაშინ მოშლილია ზაზა, რომელსაც უნდა დაყრდნოს ყოველი ხახის კვლევაძიება. რადიო, როგორც ასეთი, არის მელიუმი და არა ხელოვნება. "აქ უნდა დაიწყოს მეთოდური კვლევაძიება. უნდა იქნას განსხვავებული მელიუმი და ხელოვნება ერთმანეთისხაგან". მართალია, რადიოს შეუძლია ხელოვნების სხვა დარგის მხაფურელი გამოსახვა გადახცეს, მაგალიტად, მუსიკა. მაგრამ რადიომიმღებთან მოხახმენი გამოსახვა მხოლოდ მაშინაა ხელოვნება, თუ ის ამ მელიუმის მხაფურელი გამოსახვის შეხამლებლობებოთაა გამოსახული. რადიო ჩვენ გვაძლევს

1) Fischer Eugen Kurt: Der Rundfunk; Wesen und Wirkung, Stuttgart 1949, S.147

ხაშუალებას შევექმნათ არა მარტო რადიოური მხაფერული გამოსახვა - რადიოპიესა, არამედ ამასთანავე შეგვიძლია შევექმნათ რადიოს არამხაფერული, ე.ი. პუბლიცისტური ფორმებიც. და თუ ჩვენ ყურადღების ცენტრში ვაყენებთ რადიოპიესას, ეს ხდება - ჯერ ერთი - იმიტომ, რომ განვხაზღვროთ რადიოპიესის, ხელლოვნების ამ ერთი დარგის კანონზომიერება და მიხი დამოკიდებულება ხელლოვნების მეზობელ დარგებთან, და - მეორე - თუ ჩვენ შევძელით რადიოპიესის კანონზომიერების გარკვევა, ეს გააადვილებს რადიოს პუბლიცისტური ფორმების გარკვევასაც.

მეცნიერული შეხწავლა რადიომედიუმისა - ხაერთოდ - და რადიოპიესისა კერძოდ - მიუხედავად იმისა რომ დასაწყისში უნივერსიტეტები და სხვა უმაღლესი სახწავლებლები დიდ ინტერესს არ იჩენდენ რადიომედიუმებზე, თეატრის მეცნიერებობა და ფილმისმედიუმების გვერდით, ჰუმანიტარული მეცნიერებათა შორის თანახმორფახოვან დარგად ეცნოთ, - თანდათან მიიჩნევს წინ. აქ უნდა აღინიშნოს ზოგიერთი უნივერსიტეტის პროფესორები, რომელთაც დიდი ენერგია მოანდომეს რადიოს მეცნიერულ შეხწავლას და ამით რადიომედიუმების ჩამოყალიბებას. მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი - არტურ კუჩერი, მაგალითად, თავის ლექციებში და ვარჯიშობებში, თეატრის მეცნიერებისა და ფილმისმედიუმების გვერდით, ყურადღებას აქცევდა რადიომედიუმებსაც. მიუნხენის უნივერსიტეტში (ვესტფალია) პროფესორი ვალტერ ჰაგემანი პუბლიცისტის ფარგლებში რადიომედიუმებზეც არ ივიწყებდა. მნიშვნელოვანია აგრეთვე უფრო ტექნიკის, ვიდრე ესთეტიკის მხრივ, ფრაიბურგის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ნარკვევები პროფესორ ფ. როდერმაიერის ხელმძღვანელობით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ჰამბურგისა და მიუნხენის უნივერსიტეტებში იხვე დაარსებულ იქნა რადიომედიუმების ლექტორატები. ჰამბურგშივე დაარსებულ იქნა ჰანს ბრედოვის ინსტიტუტი, რომლის ყოველკვარცხალური ყურნალი -

"რადიო და ტელეხელვა" ამ ორი მახლობრივი მედიუმის მეცნიერული შეხვედრის კერაა.¹⁾ უკვე ვერც ერთი დიდი უნივერსიტეტი, მეცნიერული უწყება გვარს ვერ უვლის რადიომეცნიერების ხხვა-ლა-ხხვა ახვეწის შეხვედრას. განუწყვეტლივ ქვეყნდება ახალახალი მეცნიერული შრომები ევროპიელი, ამერიკელი თუ აზიელი მეცნიერებისა, რომლებიც უნივერსიტეტებში, აკადემიებში თუ სპეციალურ ინსტიტუტებში ხწავლობენ რადიომეცნიერების ხხვა-ლა-ხხვა მხარეებს. იაონიაში, მაგალითად, "1966 წლის ივნისში "NHK Radio and Television Culture Research Institut"-მა აღნიშნა არხებობის ოცი წლის თავი... ეს ინსტიტუტი... ირკვევს შემდეგ დარგებს: მხმენულთა და მაყურარებულთა გამოკვლევა, პროგრამის ანალიზი, ენა რადიოში მახალგაზრდის დაგროვება შინაურ და უცხოეთის რადიოებზე, რადიოიხლორია, რადიომეცნიერების განვითარება."²⁾ მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი დინებაშია, ვინაიდან რადიომეცნიერება მეტად ახალგაზრდა მეცნიერებაა; "შეიძლება ყველაზე უფრო ახალგაზრდა; ყოველშემთხვევაში იხე ახალგაზრდა, რომ ჯერჯერობით ხელთ გვაქვს მისი ძირითადი ტექნიკური შეხამებლობანი, რომელთაც უნდა დაეყრდნოს რადიომეცნიერება, რომ ეს მედიუმი რაც შეიძლება უკეთესად იქნას გამოყენებული."³⁾

2. ხტოლისმეცნიერების ცნება

"ამათა, მშენიერების, ესთეოიკის მეცნიერებაში ხელოვნებისათვის გამოსხალექი ღებულებათა ძებნა. მართალია, არხებობს ხელოვნების კანონები, მაგრამ მათ აქვთ მხოლოდ მაშინ აზრი, თუ იხინი ამავე დროს ცხოვრების კანონებია, რომელთა მიხედვით უნდა იმოქმედოს ჩვენმა გამოსახვითმა მიხწრაფებებმა. აღამი-

1) Fischer E.K.: Der Rundfunk; Wesen und Wirkung, Stuttgart 1949, S.147

2) Fujinuma Shoji: 20 Jahre Rundfunkforschung bei NHK-Tokio; in: Rundfunk und Fernsehen, Hamburg 1967, Heft 2, S.132

3) Metzger W.: Das Räumliche der Hör- und Sehwelt bei der Rundfunkübertragung, Berlin 1942, S.7

ანია ყველაფრის საშოში, და ცხოველმყოფელი ყოფაღობისა და მისი ზეგავლენის ხფეროების შეცნობის ერთადერთი ორგანოა ჩვენი "ცხოვრებისეული გრძნობა" ("Lebensgefühl"), ეს არაორაზროვანი ცნება, რომელსაც კანფი ხიამოვნებით ხმარობს. ცხოვრებისეული გრძნობა სფილისმეფყველების მთავარი ორგანოა. ის იხილავს გერმანული პოეზიის სფილისმეფყველებას გენეფიკურად, ე.ი. დაწყებული მისი წარმოშობის ძალებიდან. მაგრამ ის გამომდინარეობს ამავე ღროს ხელოვნებიდან ხაერთოდ და ეხება სფილის შექმნის ყველა ოთხ ელემენტს; პირველად ორ ზოგად ელემენტს, რომლებიც ძალაშია ყოველი ღარგის ხელოვნებაში: ესაა პიროვნება და ღრო; შემდეგ ორ განსაკუთრებულ ელემენტს, რომლებიც ხელოვნების ცალკეულ ღარგს ეხება: ეხენია ღარგი და გამოსახვის მახალა...¹⁾

"სფილისმეფყველება ეწოდება მხაფვრული გამოსახვის მეცნიერებას. გერმანული პოეზიის სფილისმეფყველება ეწოდება გერმანული პოეზიის მხაფვრული გამოსახვის მეცნიერებას".²⁾

იმიხათვის, რომ ხელოვნების ცალკეული ღარგის რაობა გავარკვეით, პირველად უნდა გავარკვეით თუ რა არის ხელოვნება და ამ გზით განვხაზღვროთ სფილისმეფყველება, რაც, როგორც ავლიმნეთ, მხაფვრული გამოსახვის მეცნიერებაა. ჩვენ გვხურს თავი ავარდიოთ ესთეთიკის, მშვენიერების მეცნიერებას, მის გაყინულ ცნებებსა და ქალაღლის კანონებს, ვინაიღან ხელოვნება არის და ღარჩება რაღაც ხაიღუმღოებით-მოღული ცხოვრებისეული და ამით აუციღლებღად ცვღლებღალი არხება, რომელსაც აღამიანი მეფვღად ფროხიღად უნდა მიუახლოვღეხ. მისი არხი მისფერიღაა, რაც იშღება მოკრძაღებული გრძნობის წინაშე.³⁾ "ხელოვნებას თავიხი ფეხვევი ცხოვრებაში აქვს გაღგმული"⁴⁾

1) Einleitung; in: Kutscher Artur: Stilkunde der deutschen Dichtung, Bremen-Horn, Band I, 1951, Band II, 1952

2) Kutscher Artur: Stilkunde der deutschen Dichtung; Allgemeiner Teil, Bremen-Horn 1951, S.13

3) ebenda, S.15

4) Dilthey Wilhelm: Das Erlebnis und die Dichtung, Leipzig 1896, S.36

რატომ ხდება განცლა ხელოვნება? როლის ხდება განცლა ხელოვნება? გაღამწყვეტია ის, რომ უ ა ნ ც ა ზ ი ა იპყრობს განცლას, აძლევს მას ფერსა და ფორმას? "ფანჯარია-ამბობს არწურ კუჩერი - შემომქმედია პირველად მითოსში... შემომქმედია მხოლოდ ხული...არ არის მართალი, რომ მხოლოდ გონი ქმნის ცხოვრებას...მხოლოდსულიერი ძალა ქმნის მას. უღაოა, გონიც, ფილოსოფიაც და ეხთეთიკაც კი მონაწილეობას ღებულბენ მხაჯვრულ შემოქმედებაში, მაგრამ გონი, ფილოსო-ფია, ეხთეთიკა მხაჯვრულ შემოქმედებაში არახლენ არ უკრავენ პირველ ვილინობე; ისინი ხაერთოდ არ არიან შემომქმედნი." ¹⁾ ხელოვნებაში ინტუიცია დაკავშირებულია იძულებით მისწრა-ფებასთან ცხოვრება აზროვნად შესაგრძნობი გახალბ. მხაჯვრუ-ლი გამოსახვის ცხოველმყოფელობა ყოველ მახალაში ხხვაგვარი იქნება და მოითხოვს უფაქიშეს გამოსახვით და კრიტიკულ უნა-რიანობას. ამაში გამოიხატება ხტილისმეფყველების უმაღლესი ამოცანა. ხელოვნებაზე ღაპარაკი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ფანჯარია შემომქმედი ხდება თავის ხაკუთარ ხამყარობი და შექმნის გამოსახვას, რომლის ჩამოსხმეფ, გამოკვეთილ ძა-ღას ჩვენ ვგრძნობთ. მხაჯვრული ნაწარმოები ცოცხალი, ორგა-ნიული არხებაა და, როგორც ხხვა არხებანი, ჩვენს ცხოვრებას-თანაა დაკავშირებული, მაგრამ მათგან განხხვავებით, მხა-ჯვრული ნაწარმოები, რომელიც მხოლოდ აღამიანის ცხოვრებიდან გამომღინარობს, ჩვენ პირდაპირ გვეხება და ესაა ერთადერთი ნიშანი მხაჯვრული ნაწარმოების არხებობისა. "მხაჯვრული ნაწარ-მოები არის ორგანიული, ცოცხალი არხება". ²⁾ ღამახახიათებელი თვიხება ხელოვნებისა, ხელოვნების ყოველი ღარგისა არის "ცხო-ვრებისეული გრძნობის" გამოსხივება. არწურ კუჩერი უარყოფს "Der Mensch" შევნიერებაში მოაქციოს ბუნება და ხელოვნება! აღამიანი

1) Kutscher Artur: Stilkunde der deutschen Dichtung; Allgemeiner Teil, Bremen-Horn, 1951, S. 24-25
2) ebenda, S. 41

ist das Maß aller Dinge, äußerlich und innerlich".
 არის ყველაფრის ხაზომი, გარეგნულად და შინაგანად".¹⁾ ჩვენ კი არ
 შეგვიძლია ბუნება გავიგოთ ან შევიყვაროთ თავისთავად, არამედ გავ-
 ვიგოთ და შევიყვაროთ ჩვენთვის, ჩვენს გრძნობებთან დაკავშირებით.
 მხოფლიოს ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ მხოლოდ ადამიანური და ის, რაც
 ჩვენთვის ადამიანურობის სიმბოლო ხდება. ხელოვნებაში ადამიანურობა
 იფურჩქნება უფრო თავისუფლად, მდიდრულად, ხრულყოფილად. არაფერი
 მხოფლიოში არ არის თავისთვის მარჯოდმარჯო; ყველაფერს აქვს დამო-
 კიდებულება მთელთან და განსაკუთრებით ადამიანებთან.²⁾ ხელოვნება
 ახახავს მრავალფეროვან და მრავალფენოვან ხინამღვიღებს მხაფვრულად.
 ხელოვნების ამოხავალი პუნქტია "ნამღვიღალ მოქმედი ადამიანები".³⁾
 "ადამიანის ცვინში ბუნღოვანი აშრებიც კი მიხი მაფერიადური, ემ-
 პირიულად განსაზღვრული ლე მაფერიადურ ცხოვრებახთან დაკავშირებული
 ცხოვრების პროცესის უცილობლო ხუბღიმაფეპია."⁴⁾

განმარფავს რა ხციღის პირველ ორ ეღემენცხ - პიროვნებახა
 და ღროს - არფურ კუჩერი ამბობხ: "ხელოვნების უმჭიდროეხი კავში-
 რი ადამიანთან და ღროსთან გამოიხაფეპა ცუნღენღიურობაში. ცუნღენ-
 ციურობა. არის ღროის განსაზღვრული ამოღანის გაღაზარეპა, ვთქვათ,
 რეღიღიური, აღმზრღეღობითი, პოღიციკური, პრაქციკული თანამპროღლო-
 ბა. მშენიერების მეწნიერეპა ყოვეღგვარ ცუნღენღიურობახ მავნელ
 თვღის და მხოლოდ 'ქმინღა', ჭეშმარიცი ხელოვნებახ ცნობხ. უღაოა,
 ცუნღენღიურობა არის ხელოვნების ერთგვარი ხივრღოვანი ღაზარღეპა,
 ხაერთოაღადამიანურობის მიწუხი, ფორმის, გამოხახვის შეღლეღვა. მაგ-
 რამ ის ხციღისმეფყვეღებამ ამიციომ ხრულიადაც არ უწღა ღაგმოს.
 ცუნღენღიურ ხელოვნებახ შეუძღია ძღიერი იყოს; შეუძღია ადამიან-
 ნური, ჭეშმარიცი და ძღიერი ზეგავღენა მოახღინოს ჩვენზე. მაგრამ
 მარჯო ცუნღენღიურობაში არ გამოიხაფეპა მხაფვრული ნაქარმოების
 ფახი. შეიძღება ითქვახ, რომ ცუნღენღიური ხელოვნება ხმირაღ

1) Kutscher K.: Stilkunde der deutschen Dichtung, Bd. I., Bremen-Horn

2) Ebenda, S. 62 1951 (Allgemeiner Teil), S. 57

3) Ebenda, S. 62

4) Marx-Engels: Die deutsche Ideologie, (1. V. 15-17). (Karl Marx und Friedrich Engels: Über Kunst und Literatur, Berlin 1949, S. 4)

უფრო ძვირფასია, ვიდრე მისი თანადროული "წმინდა" ხელოვნება. არსებობენ ღრობები და ურთიერთობანი, რომლებშიც იძულებით წარმოიშობიან უნდუნეურობანი; როცა უნდუნეურობა ჭეშმარიტად ცხოველმყოფელი თემაა და ერთადერთ ძლიერ გამოსახვაზე უზრუნველყოფს. არსებობენ მდგომარეობანი, რომლებშიც ხელოვნება მათზე დაყრდნობითა და შევიწროვებით იგებს, ვინაიდან მხოლოდ მასში ბუღოვს ხიზარულე, მაგალითად, რენესანსის, რეფორმაციის...¹⁾ ყოველთვის, როცა ღრობა მკრთალი, ფორმალისტური, ეგოისტური, უმიზნო თუ გრძნობადაკარგული ხდება, მაშინ გრძნობამორეული ხელოვნები, ფანატიკური პიროვნებები იწყებენ ზრდას. ხელოვნება ჩაღვა ხაფრანგეთის რევოლუციის, თავისუფლების ომების თუ ხოციალური ხამართლიანობის ხამხახურში. მაგრამ უნდუნეური ხელოვნების ხამირობაა, თუ ის მხოლოდ მისი შინაარსის უნდუნეურობის გამო იქმნება.

პიროვნება და ღრმობა როგორც სტილის შექმნის ზოგადი ელემენტებია, მალაშია ხელოვნების ყოველ დარგში. ადამიანი, მისი პიროვნება სტილის შექმნის პირველი ფაქტორია. "პიროვნებებში აქვს ფეხები გადგმული გონებრივ-ხელოვნება წარმოდგენებსა და გამოსახვებს; ხახელოვნება ილილიურს, დიალს, ჰეროიკულს, კომიკურს, იუმორისტულს, დრამატულს. ენაა ფორმისა და სტილის შემქმნელი ხელოვნების მრავალ დარგში".²⁾

სტილის შექმნის ორ განსაკუთრებულ ელემენტს - ხელოვნების დარგსა და მასალას - არსებობს კუჩერი ხელოვნების ცალკეული დარგიდან იხილავს. პოეზიის სტილის შემქმნელი ხამუალებია ენა; მუსიკის სტილის შემქმნელი მასალაა ფონი; მხატვრობის - ფერი; თეატრის - მიმიკი; ფილმის - მოძრავი ხერათები; რადიოს ხმა; და ამ ამოხავალი წერტილიდან აყალიბებს ის თავის კვლევით მეთოდს.

1) Kutscher Artur: Stilkunde der deutschen Dichtung; Allgemeiner Teil, Bremen-Horn 1951, S.63

3. რადიომეცყველების მეთოდი

რადიოს გამოსახვითი ძალა არის "ელექტრონულ ცვლდებით გადაცემული ა კ უ ხ ც ი კ უ რ მ ბ ა მთლიანად ეხე-იგი არა მარტო ხიწყვა!"¹⁾ ამგვარად რადიომეცყველების ცენტრში უნდა იღგეს მხოლოდმენდანლობა=ხმა. გამომდინარეობს რა ამ ღებულებიდან, არტურ კუჩერი იძლევა ხელოვნების ცალკეული დარგების თეორიის, ეხე-იგი, ეხთეიკის, ან უკეთ რომ ვთქვათ, ხცილის-მეცყველების განხაზღვრას. "მე ყალბად მიმანია გამოთქმა "წახაკითხავი ღრამა" (Lesedrama), ვინაიდან მისი შემადგენელი ნაწილი "ღრამა" ყალბია. ხიწყვა "წახაკითხავი ღრამა" არის ცნებათა აღრევა, რომ გვერდი აუარონ ხწორ გამოთქმას-ჰერმაფროდიცხ... ხრულიად გულბრყვილოდ აღიარებენ ამას ჰერმაფროდიციული ნაწარმოებების ავტორები ხათურებში, როცა პიუბებს უწოდებენ... "ხიყვარულის ნიველას"... "თმას ვენდცი, ერთი ღრამაციული რომანი" (ღიონ ფოიხცვანგერი), "ჰამთრის ბაღადა" (გერჰარდტ ჰაუპტმანი). ხხვათა შორის, მე ვაღიარებ, რომ ნაწარმოებში, რომლებიც ღრამასა და ღირიკას, რომანს, ბაღადას, ღეგენდას, მოთხრობას, ნოველას, რომანს შუა ღგანან, მიუხედავთ ამისა, შეუძლიათ ქონღეთ მხაცივრული თვისებები, აგრეთვე ფორმაც, მაგრამ არა ხცილი."²⁾ ღეხინგი "ღაკოონის" ღაუმთავრებელი მეორე ნაწილის ჩანაწერებში, ხაღაც ღაჰარაკია ხელოვნების ცალკეული დარგების კომპეციენციებსა და არხებით ხაზღვრების შეხახებ, ამბობს: "ერთმანეთის მომღვენო ხელოვნური შეერთება აკუხციკური ნიშნებისა ერთმანეთის მომღვენო ბუნებრივ აკუხციკურ ნიშნებთან არის უცილოზლოდ ყვეღა შეხამღებღ სრულყოფიღებათა უხრულყოფიღეხი, განხაკუთრებით კიღვე იმიციომ, რომ ორივენი არა მარცი ერთი გრძნობი-

1) Kutschner Artur: Der Funk; in: Grundriss der Theaterwissenschaft, München 1949, S. 386

2) Kutschner Artur: Grundriss der Theaterwissenschaft, München 1949, S. 135

ხათვიანაა განკუთვნილი, არამედ ამასთანავე მხოლოდ ერთი ორ-
განოს მიერ შეიძლება შეგრძნობილ იქნას ერთდროულად." ¹⁾
ლესინგის ამ აზრს ასე განმარტავს რადიოსათვის დიჟერ ჰა-
ხელბლაჟი: "კომპინაცია ენიხა და ხმისა (პლიუს ხმაური) უხრულ-
ყოფილებია ყველა შესაძლებელ (ესთეტიკურ) კომპინაციაში გან-
ხაკუთრებით იმიტომ, რომ ენა და ხმა არა მარტო ერთიდაიგივე
გრძნობინადშია მიმართული, არამედ ამასთანავე შეიძლება ერთ-
დროულად იქნეს შეგრძნობილი. ლესინგი მხაფერული გამოსახვის
ამ კომპინაციას ანიჭებს უმაღლეს რანგს და იხილავს "შერე-
ულ შეერთებებს", ეხე-იგი მხაფერობა პლიუს ენა, ან მუხიკა
პლიუს ფეკვა და ა.შ. - უფრო ნაკლებად ხელხაყრებს, ვინაიდან
ამ გზით ხელოვნების ცალკეულ დარგებს არ შეუძლიათ მათი შე-
ხაძებლობათა თავისუფლად გაფურჩქვნა." ²⁾ მიუხედავად ლე-
ხინგის ასე ნათლად ჩამოყალიბებული დებულებისა, ზოგიერთები
მაინც გაურბიან რადიომეფყველების ცენცრში დააყენონ მხოლოდ-
ხმენადლობა=ხმა, ე.ო. მეფყველებითი ენა, მუხიკა და ხმაური. მა-
გალითად, მოღერი ამბობს: "...რადიოპიება დრამის ერთი ხა-
ხეა აკუხციკურ ხფეროში. რადიოპიებას... შეუძლია ქონდეს ეპი-
კური ან ღირიკული ხიუჟეფი; ეხე-იგი შეიძლება გა-
მოყენებულ იქნას ეპოხიხა და ღირიკის ხტიღიხფური ფორმები
და ამით არ ჩაიფუშოს რადიოპიების ძირითადი კონცეპცია რო-
გორც დრამაფუღიხა... დრამაფუღიღობის ძირითადი კონცეპცია
მმვენინურად ფართოვდება რადიოპიებაში ეპიკურად და ხცენიუ-
რად და უფრო იფურჩქვნება... ხადაც თხრობითი ნაწილი მეფია...
იწყება გადახვლა რომანზე... რადიოპიება უნდა იქნას გაგე-
ბული როგორც ხელოვნების ერთი დარგი, რომელიც უნდა იღვას იმ
ღონებე, როგორც დრამა, ეპოხი და ღირიკა? ეს კითხვა ერთხუ-
ღვინად იქნა უარყოფილი და რადიოპიება თავისი რაობით უფრო

1) Lessing Gotthold Ephraim: "Kollektaneen zu Laokoon".
2) Hasselblatt Dieter: Hörspiel bei Nietzsche und Lessing;
in: Rundfunk und Fernsehen, Hamburg 1958, Heft 4, S. 392

კინოფილმთან ერთ ღონეზე იქნა დაყენებული. პალიოპიეხის ფორმაზე გავლენას ახდენს მხოლოდ მისი საფრანხსპორყო ხაშუა-ღების თავიხებურობა; არ შეიძლება ლაპარაკი ახალ ფორმაზე, მაგრამ საკუთარ ხეილის ელემენტებზე".¹⁾ აზრთა ამგვარ უნ-გლებში მნელა გზის გავლენა: ავტორი ლიტერატურის, თეატრის, ფილმის თუ რადიოპიეხის ღარგებზე ლაპარაკის მაგივრად, ლიტერატურის ფორმებს - ეპოსს, ღირიკას, რომანს იხე ურეხს რადიო-პიეხაში, კინოფილმში, ღრამაში, რომ - საკითხის გარკვევის მაგივრად ერთი გაუგებრობიღან მეორეში იჭრება. ამგვარი გზით კი შეუძლებელია რაიმე კრიტიერიუმის ღადგენა, რომელიც შეხამლებელს გახდიღა თეატრის, ფილმის, რადიოს თუ ჭეღეხედ-ვის, როგორც ხელოვნების ღარგების, გარკვევას; რომლის ღროს, აქვე უნღა ავღნიშნოთ, ჭეღეხედღა განხილული უნღაიქნას, როგორც კინოფილმი *sui generis*.

რადიო, როგორც ფილმი, უერ მხოლოდ წმინღა ჭექნი-კური მეღეუმიღა; აპარატუი ინფორმაციის, გართობის, მხატვრული წარმოდგენის გადახედემად. მაგრამ გახარკვევია საკითხი, თუ შეიძლება ამ ჭექნიკური მეღეუმით მხატვრული გამოსახვის შექმნა. რადიოს უნარი გადახედეს ხელოვნების ხხვა ღარგის მხატვრული ნაწარმოები, მაგალითად, მუხიკა, - არ არის რადიო-ხელოვნება. რადიოხელოვნება რადიოპიეხაა; ღა, ბუნებრივია, ჩვენი რკვევის ობიექტია რადიომეღეუმის საშუალებით აკუსტიკურად შეხაგრძნობი, შეხაენობი ხმა, რომელიც უამიღა შემღე-გი ფაქტორებისა: ხმისა (ბგერიითი ენა, მუხიკა, ხმაური), ხივ-რდები, რომელშიაც ეს ხმა უღერს, რადიოჭექნიკისა. რადიოპიე-ხა "რადიოს ერთი ფორმაა, რომელიც ჩვეულებრივ რადიოგადადე-მის მომენტში ცოცხლობს."²⁾ ამიწომ გამოკვეღვის მთავარი სა-განია არა რადიოპიეხის თუ რადიოგადადემის ხხვა ფორმების

1) Möller: Hörspiel und Feature; Bericht über eine Seminarübung von Möller; in: Rundfunk und Fernsehen, Hamburg 1956, Heft 2, S. 174-175

2) Eckert G.: Der Rundfunk als Führungsmittel, "Studien...", Heidelberg-Berlin-Magdeburg 1941, S.

შექმნილი მხოლოდ-
ხმენაღობით რადიოგადაცემა. თვით შექმნილი შიკოლება გამო-
ყენებულ იქნეს როგორც და მხმარე გამოხატულები მახა-
ლა. ამგვარად კვლევის ხაგანია რადიოჰიეხიხა და რადიოგადა-
ცემის ხხვა ფორმების ხამოლოო პროლექტი, რომელხაც მხმენელი
იხმენს რადიომიმღებთან. ამოცომ ჩვენი კვლევის ცენჭრმი ღგახ
რადიოური ხმა: მეფყველებითი ენა, მუსიკა, ხმაური. და თუ ჩვენ
ხეიღის შექმნის ოთხი ელემენტიდან - პირიქცებახა და დროს პრი-
ბლემებხ არ განვიხილავთ და მხოლოდ ორი უკანახკენელით - დარ-
გითა და მახალის გამოკვლევით დავკმაყოფილებით, მაშინ იბა-
ღება რადიოს, როგორც ხელოვნების ერთი ღარგახა და მიხი მა-
ხალის განხაზღვრის აუცილებლობა, კინაიღან "რადიოს გამოსახვის
მახალა განხაზღვრავხ მის ხიუყეფხა და ფორმას." ¹⁾

კვლევაძიების ამგვარი ვიწრო, ხპეციალიზებული მეთოღი გა-
მომღინარეობხ იმ ხაერთოღალიარებულ ღებულეზიღან, რომ "მეცნი-
ერული მეცნობა... ნიშნავხ წინამეცნიერული ერთიანი მხოფლიო
ხურათის ღაშღახ მრავალ მეცნიერების ღარგად, რომლებიღ დროე-
ბით ან, შეიძლება, ხამულამოდ უხახრულ ღაახლოებით იხევ იქ-
ვევა ახალ ერთობად." ²⁾ "მეცნიერების ამგვარი ხპეციალიზაციხა,
ხწავლულთა კვლევაძიება ხალკველი ღარგების მეცნობიხათვის
იხე შორხ წავიღა, რომ ხწავლულეზი მთელი ხიგოფხლის მანმიღზე
მუშაობენ ერთ განხაზღვრულ, ხშირად შეზღულულ ხაგანზე და ზო-
გიერთები იმიოთავ კი კმაყოფილებიან, რომ მხოლოდ ერთ თემახ
შეხწირონ მთელი ხიგოფხლე. მეცნიერების ხპეციალიზაციის ამ
ჭენღენციახ... ვერ აარიღა თავი ყურნაღიხიკამახ" ³⁾ ღა ჩვენ
ვემაჭებთ, ვერ აარიღა თავი ვერც თეაჭრმა, ვერც ფიღმა და ვერც
რადიომაც.

1) Kutschner Artur: Der Funk; in: Grundriss der Theater-
wissenschaft, München 1949, S. 396

2) Oppenheim P.: Die natürliche Ordnung der Wissenschaften, Jena 1926, S. 93

3) Groth Otto: Die unerkannte Kulturmacht, Berlin 1966, Bd. 4, S. 230

მაგრამ "მოთხოვნა საყოველთაოდ აღიარებულ იქნას ერთი დამოუკიდებელი მეცნიერების დარგი, შეიძლება წამოყენებულ იქნას... მხოლოდ მეცნიერული კვლევაძიების წარმაცებით ჩაჯარბით; როცა საკუთარი საგნის საკუთარი შეცნობითი გზით(მეთოდით) მიღებული შეცნობანი ერთ სიხვემამია მოქცეული. ცალკეული, დაქუხმაცეული შეცნობანი, ბევრიც რომ იყოს ასეთები, არ არის საკმარისი; სიმრავლე იმიხა, რაც შეცნობის დირხია - არ კმარა. რიგი კანონზომიერებათა და ჭიპიურობათა არ აძლევს მეცნიერების ერთ დარგს თეორიულ ხაფუძველს; იხინი უნდა იყვნენ სიხვემაცურად ჩამოყალიბებული... მეცნიერების ერთი დარგის სიხვემამა ერთობლივი პრინციპით ჩაჯარბული აქამდე მოპოვებულ შეცნობათა ერთ მოღიანობად აშენება... სიხვემამა არის მთელის ნაწილების განლაგება." ¹⁾ მეთოლი კი, ერნსტ კახირრის აზრით, არის "ცენჭრალური პუნქტი, რომლისგან გზისმარევენებელნი მიემართებიან ხხვა-და-ხხვა პრობლემების ხვეროებისაკენ. აზროვნების ყველა ფორმის ერთობა, რომელიც ერთ სიხვემამს გააჩნია, საბოლოოდ მასშია დასაბუთებული. მეთოლი არ ითქვიფება არც ერთ ცალკეულ ცნებაში ან ცალკეულ ფრაზაში; არამედ მას, ვინაიდან ის უცვლელი რჩება, გააჩნია ძალა უამრავი კონკრეტული პრობლემა და პროლექციული აზროვნების მოჭივი პერნამენჭულად გაფურჩქნის." ²⁾ "სიხვემამში მე მესმის მრავალფეროვან შეცნობათა ერთობა ერთი ილეიის ქვეშ"(კანჭი). ამიჭომ ამბობს ე. პუხერლი, რომ "სიხვემაცეიკას... ჩვენ კი არ ვქმნით, არამედ ის ხალგამლობს თვით საგანში, რომელხაც ჩვენ უბრალოდ ვპოულობთ, აღმოვაჩინთ." ³⁾ "მეცნიერება გამომღილეების შვილია; ის უშუალოდ აღამიანის გონიდან კი არ წარმოიშობა, არამედ იქმნება პრაქტიკული გამომღილეებისა და არეკვლითი აზროვნების შელეგად." ⁴⁾

1) Groth Otto: Die unerkannte Kulturmacht, Berlin 1960, Bd. 1, S. 81-82

2) Cassirer Ernst: Die Methodik des Idealismus in Schillers philosophischen Schriften. Idee und Gestalt, Berlin 1921, S. 79

3) Husserl E.: Logische Untersuchungen, Halle 1922, Bd. I, S. 15

4) Groth O.: Die Geschichte der deutschen Zeitungswissenschaft, München 1948, S. 9

პ ი რ ვ ე ლ ი თ ა ვ ი

რ ა დ ი ო გ ა მ ო ს ა ხ ვ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა

ფ ო ნ ე ტ ი კ ა

ფონეტიკა, როგორც "ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი" განხაზღვრავს, არის "ენათმეცნიერების დარგი, რომელიც ხწავლობს ენის გვერით მხარეს".¹⁾ რადიოგამოსახვის საშუალებათა ფონეტიკა კი, რადიოური ენის გვერით მხარესთან ერთად, ხწავლობს რადიოური მუსიკისა და ხმაურის გვერადმხაზავს. ამიტომ რადიოგამოსახვის საშუალებათა ფონეტიკის შესწავლისათვის უკრ ხაჭირთა რადიოგამოსახვის მახალის განხაზღვრა.

რადიოგამოსახვის მახალა

"ღამახახიათებელი თვისება ხელოვნებისა, ხელოვნების ყველა დარგისა არის ორგანიული, ცხოველი, უცილობლო არხები-თობა გამოსხივებულ ცხოვრებისეულ გრძნობისა; ჩვენი აღამიანური განხაზღვრული ცხოვრების სიმბოლო და ყვაილი ერთდროულად და ჩვენი ყოფიერების განაყოფიერება."²⁾ ხელოვნების ღამახახიათებელი თვისება მდგომარეობს იმაში, რომ ის ხინამდვილეს გამოსახავს გრძნობით შეხანგნობ სახეებში. ხელოვნების ცალკეულ დარგს გააჩნია თავისი საკუთარი ხფერო და მათ შორის არხებული განხხვაება დარგომბრივი და არა ხარისხობრივია: მხაფერული ნაწარმოები სრულყოფილებას აღწევს მხოლოდ მაშინ, როცა ის თავისი დარგის განხაზღვრული მხაფერული გამოსახვის საშუალებითაა შექმნილი და ხინამდვილეს მის

1) ქ. ე. გ. ლ., ტომი VII, გვ. 146

2) Kutscher Artur: Stikunde der deutschen Dichtung; Allgemeiner Teil, Bremen-Horn, 1951, S. 13

ყო ხიფყვა - არის რადიოს გამოსახვის ხაშუალება, არის ის, რასაც ჩვენ რადიოურს (funkisch) ვუწოდებთ.¹⁾ რადიოს ხკე-ციფიკური გამოსახვის მახალაა რადიომიმღების "ხამამლლა-მო-ლაპარაკის არაპირლაპირი და ცაღმხრივი რხევიითი გზით გაღმო-ციმული აკუხხიკური ხამყარო, რომელიც ხიფყვას, მუხიკახა და ხმარხხ შეიფავხ; მაგრამ ხიფყვას უაღამიანოღ, რომელიც მახ ლაპარაკობხ, მუხიკახ უმუხიკოხოღ, რომელიც მახ ქმნის, ხმარხხ იმ ხაგნებოხ გარეშე, რომლებიც მახ ქმნიან, - და ყველაფერი ეს განცაღკავებული კი არაა თავთავიხთვიხ, არამედ - ხულ ცო-შა პრინციპში ხრულ ერთიანობათა და ფორმაათა შეღულღებული.²⁾ რადიოური არის რადიოტექნიკით შექმნილი მხოლოღმენაღობა; ეხე-იგი, ყველაფერი, რის აღნუხხვა-გაღაღემა შეუღლია რადიო-ტექნიკას აკუხხიკურად. "რადიო ჭემმარიტ და ნამღვიღ შეგავღე-ნახ მხოლოღ მაშინ მოახღენხ, როღა ის მოღიანაღ თავიხთავხ ღაეყრღნობა თავიხ ტექნიკურ ხტრუქტურახ, თავიხ აკუხხიკურ ბუნღახხ, თავიხ აქტუალოზრივ გარღაუვალ ხიღლიერეხ."³⁾ "რადიოს არხებოითი თვიხებაა...ხმენაღობა. ვინაიღან მიხი შე-გავღენა ხმიხა და ბგერის მომზაღებოითა და მოქმეღებოით განი-ხაზღვრება, ხმენაღობა მიხი შეზღულღვაა როგორღ მხოლოღხმენა-ღობა."⁴⁾ რადიოურია "რადიო მიხი მხოლოღხმენაღობოითი გამოსახ-ვიო."⁵⁾ რის თქმა რადიოს ხურხ, ყველაფერი უნღა თქვას აკუხ-ხიკურად. ოპტიკა, ყველა შეხახხღაღობა მიხთვიხ მიუწღომელია; და ხწორღღ ამაში გამოიხაღება რადიოს კანონზომიერება, რახ მახ ხელოვნებოხ ყველა ხხვა ღარგიხახგან ახხვავებხ და თა-ვიხი ღამოუკიღებელი ცხოვრებოხ ხაშუალებახ აღღევხ.

მაგრამ რადიოური მეტყვეღებოითი ენა, მუხიკა თუ ხმარხხ თავიხთავად მხატვრული გამოსახვა არაა; იმიტომ შევეცაღლოთ

1) Kutscher Artur: Der Funk; in: Grundriss der Theaterwissenschaft, München 1949, S. 386

2) Rohnert E. Th.: Wesen und Möglichkeiten der Hörspieldichtung, München 1947, (Diss.), S. 31

3) Bofinger A.: Zweck, Ziel und Wert des Rundfunks; Vortrag (Wien, 23.9.1930)

4) Kolb R.: Das Horoskop des Hörspiels, Berlin 1932, S. 12-13

5) Laven P.: Der Weg zum Rundfunkwerk, Heidelberg..., 1941, S. 16

რადიოს მხოლოდმენადლობითი სამყაროს შემქმნელი მასალის - ხმის, ეხე-იგი, მეფყველებითი ენის, მუსიკისა და ხმაურის კანონზომიერების განხაზღვრას და გავარკვეოთ საკითხი, თუ შეუძლია გამოსახვის ამ საშუალებებს გაშორდეს რეპროდუქციის ხაზღვრებს და შექმნან მხაფვრული გამოსახვა. ამ საკითხის გარკვევა აუცილებელია, "ვინაიდან ყოველი დარგის ხელოვნების ხრულფახოვანება ეყრდნობა მის საკუთარ ფორმას და ეს კანონი მაშინაც კი ძალაშია და წინაპლანზე მოხჩანს, როცა ნაწარმოებს უკეთილშობილესი შინაარსივ უღევს ხაფუძვლად." ¹⁾

1) Wachten E.: Hörspiel mit Musik; in: "Rufer und Hörer", Jg. 3, S. 550

I. ხმის რადიოური გადაღების ფორმები

ჩვენ გავარკვეეთ, რომ რადიოურია მხოლოდმენადობა. (Funktionale ist Nur-Hörbarkeit). ამგვარად რადიო მხოლოდმენადობითი ხამყაროა, რომელშიც მეფობს ადამიანიხაგან განშორებული ხიფყვა, მუხიკვა, ხმაური. ენა ემორჩილება გრამაფიკახა და ფონეფიკახ, რომლებიც, მეფ-ნაკლებათ, დაზუხუფებულია ენათმეფნიერების მიერ; და რადიოშიც ენა=დაწერილი ფუქსფი ამ კანონებს უნდა დაემორჩილოს, ხანამ იხ მხოლოდმენადობათ იქვევა. მუხიკვაც უნდა დაემორჩილოს ჰარმონიის კანონშომიერებას, ხანამ იხ მხოლოდმენადობად იქვევა. ხმაურის კანონშომიერებას რადიოში კი განხაზღვრავს მიხი პირდაპირი თუ არაპირდაპირი დამოკიდებულება მეფყველებით ენახა და მუხიკახთან. ამ ხამმა აკუხფიკურმა ელემენფმა უნდა გამოიყენოს რადიომედიუმში, რომ რადიომხმენელს შეუმქნახს მხოლოდ აკუხფიკურად შეხაგრძნობი-შეხაფნობი ხამყარო. რადიოური გამოსახვის ფონეფიკამ ამ შემთხვევაში უნდა განხაზღვროს თუ რა პროფესს აქვს ადგილი, როფა ხიფყვა, მუხიკვა და ხმაური "შორდება" მათს შემქმნელთ და ხდება რადიომედიუმის გამოსახვის მახალა.

ობიექტურად მოფემული ხმის (ხიფყვა, მუხიკვა, ხმაური) გადაქვევა რადიოურ ხმად მრავალფენოვანია. რადიოური ხმარის ჯამი დიალექტიკურად ურთიერთმიქმედ ფექნიკურ-მხაფვრული ფაქტორებისა: რადიოფექნიკა (გადამღები, გადამფემი და შიმღები აპარაფურა), ხმის წყარო (მეფყველებითი ენა, მუხიკვა, ხმაური), ხივრფე, რომელშიც ეს ორი ფაქტორი ერთმანეთს "ხვდება"; და ყველა ამ ფაქტორის ერთმანეთთან შერწყმა თუ დაპირისპირება. და თუ როგორ დამოკიდებულებაშია ყველა ეს ფაქტორი

რადიოური ხმის=მხოლოდსმენადობის შექმნიხას, არის ის რთული და მრავალფენოვანი ამოცანა,რომლის გადაწყვეტა შესაძლებელია რადიოური გამოსახვის ფონეტიკის გზით.

1. ხმის რადიოური გადაღება

ხმის რადიოური გადაღების ფორმების უმარტივესი სახეა ხმის რადიოური გადაღება, რაც პირველყოფისა მხოლოდ ტექნიკური პროცესია, რომელშიც გადამწყვეტია მიკროფონი და ხმის გადამღები სხვა რადიოინსტრუმენტები. თეორიულად შესაძლებელია ობიექტურად მოცემული ხმა "მთლიანად" იქნას აღბეჭდილი=ჩაწერილი მაგნეტოფონის ფირზე. მაგრამ პრაქტიკაში საქმე სხვაგვარადაა: ხმის რადიოური გადაღების ღრობ აღგილი აქვს ობიექტურად მოცემული ხმის განსაზღვრულ გ ვ ა ლ ე - ბ ა ლ ო ბ ა ს :

1. ხმის გადაღების ღრობ მაგნეტოფონის ფირზე არ აღიბეჭდება ე.წ. "ხელშემშლელი ფრეკვენციები", როგორც, მაგალითად, ხმის "მაღალი" და "დაბალი" რხევადობანი, რომლებსაც "ჭრის" ხმის გადამღები აპარატურა და ამით, ცოცხათ თუ ბევრად, ცვლის ობიექტურად მოცემული ხმის ულერადობას.

2. ობიექტურად მოცემული ხმის ცვალეზადობას იწვევს აგრეთვე მიკროფონი. მიკროფონი AKO-20, მაგალითად, პრინციპში, ხმის ხამგვარი ჩაწერის საშუალებას იძლევა; განსაკუთრებით ბანის ბგერადობის მხრივ:

ა) თუ მიკროფონს დავაყენებთ "0" = ნოლის პოზიციიანზე, ბანი ისმის "ჩვეულებრივად"; ე.ი. ობიექტურად მოცემული ხმის ბანის ცვალეზადობა მინიმალურია.

ბ) თუ იმავე მიკროფონს "-7" პოზიციიანზე დავაყენებთ, მაშინ შეხუხდება ობიექტურად მოცემული ხმის ბანი.

გ) თუ იმავე მიკროფონს დავაყენებთ "-12" პოზიციიანზე, მაშინ კიდევ უფრო შეხუხდება ობიექტურად მოცემული ხმის ბანი.

მიკროფონ AKG-20-ის ეს თავისებურებანი შეიძლება გამოყენებულ იქნას პრაქტიკულად: თუ, მაგალითად, დიქტორს "მაღალი" ან "ღაბათი" ხმა აქვს, ჩვენ შეგვიძლია ამ მიკროფონის ბანის პოზიციის შეცვლა "0"-დან დაწყებული-"12"-ლედ და ამით დიქტორის ხმის ბანის შეხუხება. მიკროფონი AKG-20-ი, უმთავრესად, განკუთვნილია ხვეულიაში ხამუშაოდ; თუ, მაგალითად, არ გვხურს დიქტორის ხმის ბანის გვერდობის შეცვლა, მაშინ ამ მიკროფონს ვაყენებთ "0"-ის პოზიციაზე; თუ გვხურს ბანის ხილვირის შეხუხება, მაშინ შეგვიძლია მიკროფონი დავაყენოთ "-7"-ლ ან "-12"-ეს "დებიტორი", რის შედეგად დიქტორის ხმაში ბანი შეხაბამისად შემცირდება. მიკროფონი AKG-36 განსაკუთრებით კარგია მუსიკალური თუ რადიოპიესის ჩანაწერად. მიკროფონი AKG-15, რომელსაც მეტსახელად "რეპორტერს" უწოდებენ ხოლმე, მეტად ხვობილურია და განსაკუთრებით გამოსადეგია ხმის გარეთ გადაღებისათვის. ამას გარდა არსებობს სხვა-და-სხვა ხახის და ხიძლიერის მიკროფონები, რომლებიც არა მარტო ხმის სხვა-და-სხვა პირობებში გადაღებისათვის არიან განკუთვნილი, არამედ ამასთანავე მეტ-ნაკლებად ცვლიან ობიექტურად მოცემული ხმის გვერდობას. ამიტომ მიკროფონის არჩევა ხმის რადიოური ჩანერის დროს ხეიღლება რადიოტექნიკის საზღვრებს და იწვევს ობიექტურად მოცემული ხმის "არახახურველ" და "ხახურველ" ცვლებადობას. თუ, მაგალითად, ჩვენ იგივე AKG-20 მიკროფონით რადიოფირზე ჩავწერთ წინადადებას - "ხკობს ხიგონგლებხა ნამ-რახხა ხიკვდილი ხახელვანი" - მივიღებთ ასეთ სურათს(ნახ.1):

მთელი ვოლუმი	"ხკობს ხიგ.ნამ.ხიკვ. ხახელვანი"
ნახევარი ვოლუმი	
ნოლი ვოლუმი	

(ნახ. 1)

1. "არახახურველი" ცვლებადობა ობიექტურად მოცემული ხმისა მოხდება იმიტომ, რომ ეს მიკროფონი (და მეტნაკლებად სხვა

ხახის მიკროფონებიც) "ჭრის" ობიექტურად მოცემული ხმის "მაღალ" და "დაბალ" რხევადობას.

2. "ხახურველი" ცვალებადობა ობიექტურად მოცემული ხმისა მოხლდება იმიტომ, რომ ჩვენ შეგვიძლია ეს მიკროფონი დავაყენოთ "0"-ის, "-7"-ის თუ "-12"-ის ვოლტების პოზიციებზე და ამით ხურვილი-ხამებრ შევცვალთ ობიექტურად მოცემული ხმის ბანის ხიძლიერე.

როგორც ვხედავთ, ობიექტურად მოცემული ხმა მაგნიტის ფირზე უბრალო ჩაწერის დროს ი ც ვ ლ ე ბ ა თავისი გვერდობით; და ამის შედეგია ის, რომ დიქტორის ხმა რადიოში უფრო "ხუფთაა", ვიდრე ცხოვრებაში; და ზოგიერთები თავის ხმას რადიოში ვერც კი ხნობს, რაც ნაწილობრივ იმიტომაცაა, ალბათ, გამოწვეული, რომ მეწყველეების დროს აღამიანი მეწყველი და მსმენელი ერთდროულად, ხოლო ხმამაღლ-მოლაპარაკის წინ ის "მხოლოდ :ხმენელი", რაც მის ყურადღებას მის ხმისადმი უფრო ამახვილებს, ვიდრე მეწყველების დროს. მაგრამ ფაქტი რჩება ფაქტად, რომ ხმის რადიოური უბრალო გადაღების დროს ობიექტურად მოცემული ხმის გვერდობა ი ც ვ ლ ე ბ ა; და ეს ცვალებადობა უფრო მრავალფეროვანი და მრავალფენოვანი ხდება, რამდენადაც ჩვენ შევიტრებით ხმის რადიოური გამოსახვის ხხვა-და-ხხვა ფორმებში, რომელთა ბაზაა ხმის მონოფონიური და ხერეოფონიური ჩაწერა-გადაცემა.

ა) მონოფონია

რადიოური მონოფონიაა ხმის ჩაწერა რადიოფირის ე რ თ ზოლზე და მისი გადაცემა და მიღება ე რ თ არხიდან, ანუ რადიომიმღების ერთ ხმამაღლამოლაპარაკიდან. აქ გადამწყვეტია არა მიკროფონთა რაოდენობა ხმის გადაღების დროს (მონოფონიურად შეიძლება ხმა გადაღებულ იქნეს ერთი ან რამდენიმე მიკროფონით, როგორც ეს ხდება პრაქტიკაში) ან ხმამაღლამოლაპარაკეთა რაოდენობა (მონოფონიური ხმა შეიძლება მოხმენილ იქნას ერთი ან მრავალი ხმამაღლამოლაპარაკით),

არამელ ის, რომ ხმა გადაღებულია რადიოფირის ერთ ზოლზე და მსმენელი მას ისმენს ერთი არხიდან, ე.ი. მონოფონიური რადიომიმღების ერთი ხმამაღლამოლაპარაკიდან.

თუ, მაგალითად, ჩვენ ჩავწერთ რადიოფირზე ლექსორის ხმას - "ხუობს ხიფოხლეხა ნამძახხხა ხიკველილი ხახელოვანი" - მონოფონიურად იხე, რომ ამ აფორიზმის პირველ ნაწილს - "ხუობს ხიფოხლეხა ნამძახხხა..." ლექსორი იყყვიხ "ერთ ოთახში" მიკროფონიდან ოთახის კარისხაკენ წახვლის ღრის, ხოლო ოთახის კარის გაღებისა და დახურვის შემდეგ შეღის "მეორე ოთახში" და მეორე მიკროფონთან მიხვლის ღროს იყყვიხ ამ აფორიზმის მეორე ნაწილს - "...ხიკველილი ხახელოვანი" (მიუხედავად იმისხ, რომ მსმენელი ლექსორის ხმის მიკროფონებიდან დაშორებღ-დაახლოებღში და ოთახის კარის გაღებღ-დახურვღში "ამოიკოთხავხ" მის მოქმედებახ, რად მისი"ერთი ოთახიდან მეორე ოთახში"გახვლის ღროს ხღებღ), ხმას მსმენელი ისმენს ერთი არხით, რადიომიმღების ერთი ხმამაღლამოლაპარაკიდან, "მონოფონიურ ხივრცეში". ხმის მონოფონიური გადაღების ეს პროცეხი გრღფიკუღად ახე შეიძღებღ გამოვხახოთ(ნახ. 2):

მთელი ვოღუმი	"ხუობს ხიფოხლეხა ნამძახხხა..."
ნახევარი ვოღუმი	
ნოღი ვოღუმი	"პირველი ოთახი"

(ნახ. 2)

ამ "პირველ ოთახში" გადაღებულ ხმას მსმენელი ისმენს ერთი არხით, ე.ი. ერთი ხმამაღლამოლაპარაკიდან. მეორე ნაწილის რადიოფირზე გადაღებღ ახე ხღებღ(ნახ.3):

მთელი ვოღუმი	"...ხიკველილი ხახელოვანი"
ნახევარი ვოღუმი	
ნოღი ვოღუმი	"მეორე ოთახი"

(ნახ.3)

ამ "მეორე ოთახში" "მეორე მიკროფონით" გაღებულ ხმახან მხმენელი იხმენს ერთი არხით, ე.ი. რადიომიმღების ერთი ხმა- მაღლამოლაპარაკით. მაგრამ იხევ უნდა ითქვას, რომ რადიოფი- რის ერთ ზოლზე, ე.ი. მონოფონიურად ჩაწერილი ხმა ორი ან მე- ტრი ხმამაღლამოლაპარაკითაც მონოფონიურად იხმის, ვინაიდან მონოფონიური ხივრცე ხხვაა, ვიღრე სტერეოფონიური ხივრცე, რახან ჩვენ ღაწვრიღებით განვიხიღავთ.

ბ) სტერეოფონია

რადიოური სტერეოფონიაც, ტექნიკის ღღევანღღელ ხაფეხურზე, ვერ იღღღვა ობიექტურად მოღღღმული ხმის ზუსტ პირს, გაღღღებას. სტერეოფონიური რადიოტექნიკაც ცვღღის ობიექტურად მოღღღმულ ხმას ხურვიღღისამებრ ღღა უნებღღღითაც. ღღა რომც შეღღღოს რადიოტექნიკამ ხმის ზ უ ხ ტ ი რადიოური გაღღღება სტერეოფონიური გზით, მხაფურღღი თვალხაზრღღისით, ეს მიუღღღებღღიცაა, ვინაიღღან მხაფ- ვრული გამოსახვის შექმნა მხოლოდ მაშინაა შეხაღღღებღღი, როცა ობიექტურად მოღღღმული ხმის(ხიფყვა, მუხიკა, ხმაური) გარღღღქმნა შეხაღღღებღღია ხურვიღღისამებრ. ობიექტურად მოღღღმული ხმის რა- დიოური გა რ ღ ა ქ მ ნ ი ს გარეშე შეუღღღებღღია მხაფურ- უღღი გამოსახვის - რადიოპიეხის - შექმნა. ღღა თუ რადიოტექნიკა შეხაღღღებს ობიექტურად მოღღღმული ხმის ზ უ ხ ტ გაღღღებას, რადიოური მხაფურღღი გამოსახვის შექმნისახ მაინც აუღღღებღღი გახღღება ამ ზ უ ხ ტ ხმის გარღღღქმნა, რომ რადიოური მხაფ- ვრული გამოსახვა შეიქმნახს. ზიგფრიღ მიფღღახერი "მნიშვნელო- ვან განხხვავეებას" ხეღღავს ხმის ზუნებრღღი ღღა რადიოურ მოხმე- ნას შორის ღღა წერს: "ეღღექტრონულ გაღღღემაში ჩვენ ვგუღღისხმომბ ზგერათა გაღღღქვევას ეღღექტრომბაღღ ღღა შეღღღეგ იხევ უკუგაღღქვევას აკუხფიკურ ინფორმაღღიად. მიუხეღღავათ ღღიღი მიღღქვევებისა ეღღექ-

